ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავების საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაცია

(CPV-71400000; CPV-71410000)

==========

დაფინანსების წყარო: 2020-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი

2020 წლის სექტემბერი

1. **ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის**

1.1 კონკურსით შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით.

1.2 სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების შესაბამისად.

1.3 კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. კონკურსში მონაწილე უცხოელი პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ და ქართულ (ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი) ენებზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაცის სხვა უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ინგლისური და ქართული თარგმანები.

1.4 დავის შემთხვევაში ინგლისურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

1.5 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.6 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

1.7 საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.

1.8 ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 პროცენტს, ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) თუ ელექტრონული გარანტია გაცემულია ელექტრონული გარანტიების რეესტრის მეშვეობით - კონკურსისთვის კონკურსის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებიდან არანაკლებ 160 დღე;

ბ) კონკურსისთვის კონკურსის საბოლოო სტატუსის მინიჭებიდან 10 დღე, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

1.9 საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს. საფასურის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად, სისტემის მეშვეობით, ელექტრონული გარანტიის წარდგენის შემდეგ და ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე.

1.10 ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ–ს გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.

1.11 დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება, პრეტენდენტი საკონკურსო წინადადების ფასს უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

1.12 პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ს გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ს ოდენობა.

1.13 საკონკურსო წინადადების ფასის მითითებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადების ფასი.

1.14 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება.

1.15 საკონკურსო წინადადების ალტერნატიული ვერსიები არ განიხილება.

1.16 საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისათვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები.

1.17 კონკურსში სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა არ მოითხოვება;

1.18 კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებით ან/და საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის ან ისეთი საკონკურსო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც არ პასუხობს კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების ან/და საკონკურსო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, შესაძლებელია გამოიწვიოს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

1.19 კონკურსში ერთობლივად მონაწილეობის მიზნით, ორ ან რამდენიმე მიმწოდებელს უფლება აქვს, გაერთიანდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით. მხარეთა შეთანხმებით ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს ერთ ან რამდენიმე კონკურსში მონაწილეობის მიზნით. კონკურსში ამხანაგობის მონაწილეობის საკითხი, წესრიგდება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

1.20 ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ შეიძლება იყოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადაზე ნაკლები.

1.21 ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანებით დამტკიცებული წესის და პირობების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ო” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „ჟ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე, არაუგვიანეს 24 საათისა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დაზუსტება.

1.22 განმარტებების მისაღებად მიმართეთ: ოთარ გაბელაშვილს ელ. ფოსტა: o.gabelashvili@mrdi.gov.ge; ან კახა ფოცხიშვილს k.potskhishvili@mrdi.gov.ge; მის: ქ. თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. #12

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტი: შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს – კონკურსის საშუალებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავების საპროექტო მომსახურების (CPV-71400000; CPV-71410000) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: 922’500.00 (ცხრაას ოცდაორიათას ხუთასი) ლარი. პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ–ს გარეშე.

2.3 საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისათვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

2.3.1 საკონკურსო წინადადების შეფასების კრიტერიუმები:

2.3.1.1 ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა - 70%;

2.3.1.2 საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონა - 30%

2.4 კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასების კრიტერიუმები:

2.4.1 საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და შკალა:

I. ტექნიკური წინადადების შესაბამისობისთვის (მაქსიმუმ 40 ბალი):

- შემოთავაზებული მეთოდოლოგიის საერთო ეფექტიანობა გათვალისწინებულ სამუშაოთა მიმართ, შემოქმედებითი მიდგომები კონცეფტუალურ მოსაზრებებში და საერთაშორისო ,,საუკეთესო პრაქტიკის“ გამოყენება;
- ცალკეულ სამუშაოთა წარმართვის მეთოდიკის შედეგზე ორიენტირებულობა;
- შემოთავაზებული მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის შესაბამისი, სამუშაოთა წარმართვის ეტაპებისა ან/და ქვე-ეტაპების რაციონალურად და ეფექტიანად დაგეგმვის გეგმა-გრაფიკი;
- სამუშაოებს შორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების ლოგიკურობა;
- სახელმძღვანელო და გასათვალისწინებელი დოკუმენტაცია.

II. სპეციალისტების გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისობისთვის (მაქსიმუმ 40 ბალი):

- დაგეგმარების ჯგუფის წევრების კვალიფიკაციის რელევანტურობა და გამოცდილების ადეკვატურობა შემოთავაზებული მეთოდოლოგიით მათთვის განაწილებულ სამუშაოთა მიმართ, მათი რეზიუმეების (CV), დიპლომების, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთებისა და სერტიფიკატების საფუძველზე;
- სპეციალისტების მიერ განხორციელებული ანალოგიური პროექტების მომზადების კვალიფიციურობა, სირთულე და მასშტაბი ან/და სხვა გამოცდილება, დაგეგმილ სამუშაოებთან მიმართებაში.

III. ორგანიზაციის პოტენციალის შესაბამისობისთვის (მაქსიმუმ 20 ბალი):

- ორგანიზაციის მიერ შესრულებული ანალოგიური პროექტების მომზადების კვალიფიციურობა, სირთულე და მასშტაბი, დაგეგმილ სამუშაოებთან მიმართებაში;
- სტრუქტურული მოწყობისა და მენეჯმენტის, პერსონალით დაკომპლექტების, ტექნიკური აღჭურვის დონისა და ფინანსური შესაძლებლობების ადეკვატურობა შემოთავაზებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ სამუშაოთა მიმართ.

2.4.2 საკვალიფიკაციო მოთხოვნები საკონკურსო წინადადების კომპონენტების მიმართ [1]

I. ტექნიკური წინადადება:

- ტექნიკურ წინადადებაში პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ზოგადი მეთოდოლოგია, მეთოდიკა და კონცეფტუალური მოსაზრებები დავალების შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით. კერძოდ, პრეტენდენტმა უნდა აღწეროს თავისი ხედვით:
  - ✓ შესამუშავებელი დოკუმენტაციისა და სამუშაოთა საერთო მასშტაბი, რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები;
  - ✓ დაგეგმილ სამუშაოთა საერთო ჩამონათვალი, საჭიროება და ეტაპობრიობა;
  - ✓ საკვლევ-საძიებო, საპროექტო და ტექნიკურ სამუშაოთა შესრულების დეტალური მეთოდიკა და მონაცემთა დამუშავების სიზუსტე;
  - ✓ ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის კონტექსტში, ზოგადად ქალაქისა და სპა კურორტის განვითარების მიზანი, ამოცანები და სტრატეგია.

- პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 90 დღის განმავლობაში დოკუმენტების შემუშავების განხორციელების ერთიანი გეგმა-გრაფიკი, კალენდარულ დღეებზე გაწერით. აღნიშნულში არ არის გათვალისწინებული ძირითადი ეტაპების შედეგების განხილვისა და მიღება-ჩაბარების პროცედურები.
- შეფასდება წარმოდგენილი ინფორმაცია დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში სახელმძღვანელო და გასათვალისწინებელი დოკუმენტაციის შესახებ: საკანონმდებლო და ნორმატიული საფუძველი, მეთოდოლოგიური მასალები, ოფიციალური მონაცემები, კვლევები, კონცეფციები, სქემები, პროექტები, მონაცემთა ბაზები და სხვა.
- შეფასების პროცესში გათვალისწინებული იქნება წარმოდგენილი ინფორმაციის სრულფასოვნება და შესაბამისობა დასახულ ამოცანებთან.

II. სპეციალისტების გამოცდილება და კვალიფიკაცია:

- საპროექტო ჯგუფი უნდა შედგებოდეს ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სპეციალისტების და არქიტექტორების ბირთვისგან, მოწვეული დარგობრივი სპეციალისტებისა და ექსპერტებისგან.
- საპროექტო ჯგუფს შეუძლია შეთავაზების გაკეთება სხვა პროფესიის მქონე პირებისა და დამხმარე პერსონალის ჩართვის შესახებ იმ მიზნით, რომ სრულფასოვნად განხორციელდეს დაკომპლექტება.
- საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი - საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციის მქონე ქალაქმგეგმარებელი, - სულ მცირე 15-წლიანი გამოცდილებით საერთაშორისო კურორტების დაგეგმარებასა და ქალაქთმშენებლობაში. გამოცდილება საერთაშორისო დონის სპა კურორტების (მთლიანად სპა კურორტის ტერიტორიის და არა ცალკეული ნაგებობების) დაგეგმარებაში მიიჩნევა უპირატესობად. პროფესიული ინსტიტუტის წევრი. უნდა მოეპოვებოდეს 3 უახლესი რეკომენდაცია ჯგუფის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის ამპლუაში, რომლის ფარგლებშიც მართავდა

[1] თუ რომელიმე კომპონენტში არ იქნება მითითებული მოთხოვნილი (მინიმალური) ინფორმაცია, კომპონენტს შეფასებაში უნდა დააკლდეს განსაზღვრული შკალიდან ბალების 50 %.

მულტიდისციპლინურ ჯგუფებს და ახორციელებდა კურორტებისა და ურბანულ დაგეგმარებას.

- ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი - საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციის მქონე, ან მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე ეკონომისტი/ფინანსისტი/კურორტოლოგი - სულ მცირე 10-წლიანი გამოცდილებით კვლევებსა და დაგეგმვაში, პროფესიური ინსტიტუტის წევრი; გამოცდილება საერთაშორისო დონის სპა კურორტებისგანვითარების პროექტებში მიიჩნევა უპირატესობად. უნდა მოეპოვებოდეს 3 უახლესი რეკომენდაცია, რომ მონაწილეობდა ურბანული დაგეგმარების კომპლექსურ ან/და ეკონომიკურ პროექტებში; წყალტუბოს მსგავსი სპა კურორტის (მთლიანად სპა კურორტის ტერიტორიის და არა ცალკეული ნაგებობების) განვითარების პროექტში; საინვესტიციო ობიექტებისა და ტერიტორიების შესწავლისა და განვითარების პროექტში.

- ძირითად სფეროებში, საპროექტო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს და წარმოადგინოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტ-პროფესიონალები - ფართო გამოცდილებით. ჯგუფის წევრთა კვალიფიკაცია შემოთავაზების შეფასების მთავარი კრიტერიუმია. აქედან გამომდინარე, საპროექტო ჯგუფი ვალდებული იქნება მოახდინოს შემოთავაზებაში მითითებული პერსონალის მობილიზაცია და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა სამუშაოს საჭიროებების მიხედვით. ჯგუფის წევრების ჩანაცვლება არ არის მისაღები. აღნიშნული შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ ალტერნატიული კანდიდატების რეზიუმეების ჩაბარების შემდეგ, რომლებსაც ექნებათ სულ მცირე მსგავსი კვალიფიკაცია და წერილობითი დასტური 10 დღის ვადაში სამუშაოების მონიტორინგსა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უწყებიდან.

- <u>საპროექტო ჯგუფმა ნათლად უნდა წარმოადგინოს თუ როგორ მოიცავს ჯგუფი ყველა წამყვან ექსპერტსა და კომპეტენციების ძირითად სფეროებს, უნდა ასახოს ბალანსი სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე პირებს შორის და შეიქმნას ერთგვარი სინერგია, იმისთვის რომ ჯგუფის წევრებმა „შეავსონ“ ერთმანეთის ცოდნა/კომპეტენციები.</u>

- <u>სპეციალისტების გამოცდილებაში</u> უნდა მიეთითოს სამუშაო სტაჟი.

- <u>წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალისტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი რეზიუმეები (CV), დიპლომები, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთები და სერტიფიკატები.</u>

III. <u>პრეტენდენტი ორგანიზაციის მიმართ მოთხოვნები</u>

- <u>პრეტენდენტი ორგანიზაციისა ან/და მის შემადგენლობაში წარმოდგენილი მთავრი მიმართულებების ხელმძღვანელებს უნდა გააჩნდეთ ანალოგიურ პროექტზე მუშაობის გამოცდილება. ანალოგიური პროექტი გულისხმობს, წყალტუბოს მსგავსი ბალნეოლოგიური საერთაშორისო დონის სპა კურორტის (სპა კურორტის ტერიტორიის და არა ცალკეული ნაგებობების) დაგეგმილი განვითარების მიზნით შესრულებულ ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის ერთ-ერთი იერარქიის გეგმის პროექტს; ასევე საინვესტიციო ობიექტებისა და ტერიტორიების შესწავლისა და განვითარების პროექტს.</u>

- შემოთავაზებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ სამუშაოთა მიმართ ადეკვატურად - ორგანიზაციის სტრუქტურული მოწყობა, მენეჯმენტი, პერსონალით დაკომპლექტება, ტექნიკური აღჭურვის დონე და ფინანსური შესაძლებლობები.
- ანალოგიურ პროექტებში მონაწილეობის დასადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულებები.

შენიშვნა:
კრიტერიუმების შეფასებისას კომისიის ყოველი წევრი ცალ–ცალკე აფასებს კრიტერიუმს 0-10 ქულიან დიაპაზონში, ხოლო საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით. გამოცდილების შეფასებისას შეფასდება პროექტები არა რაოდენობის მიხედვით, არამედ მათი კვალიფიციური შესრულების, სირთულის და მასშტაბის მიხედვით.

2.5 მომსახურების გაწევის ვადა:

ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან - 90 (ოთხმოცდაათი) დღის ვადაში. აღნიშნულში არ არის გათვალისწინებული ძირითადი ეტაპების შედეგების განხილვისა და მიღება-ჩაბარების პროცედურები.

2.6 ანგარიშსწორების პირობები და გარანტია:

2.6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში.

2.6.2 შესაძლებელია მიმწოდებლისა და შემსყიდველის შეთანხმების საფუძველზე, განხორციელდეს არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის გადახდა ავანსის სახით- წინასწარი ანგარიშსწორება. ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში წინასწარი ანგარიმსწორება განხორციელდება შესაბამისი გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.6.3 წინასწარი ანგარიშსწორების აუცილებელ პირობას წარმოადგენს წინასწარი ანგარიშწორებით განსაზღვრული თანხის (არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 20%) იდენტურ ოდენობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების (უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების შემთხვევაში, იგი გადაზღვეული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემული, საბანკო სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენა, რომელის მოქმედების ვადაც უნდა აღემატებოდეს მომსახურების შესრულების ვადას მინ. 1 თვით.

2.6.4 წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება ეტაპობრივად შემდეგი პროპორციით:

ა) ხელშეკრულების ღირებულების 20% - საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) ხელშეკრულების ღირებულების 30% - დავალებით განსაზღვრული ეტაპი 1-ის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

გ) ხელშეკრულების ღირებულების 50% - დავალებით განსაზღვრული ეტაპი 2-ის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.6.5 ანგარიშსწორება განხორციელდება 2020-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებით.

3. **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია**

3.1.1 კონკურსში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ფარგლებში, ხოლო თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლებისათვის საბანკო გარანტიის მოცულობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 2.5%-ის ფარგლებში.

3.1.2 პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტი ოდენობით სხვაობისას, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლებისათვის საბანკო გარანტიის მოცულობა განახევრდება.

3.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობები:

3.2.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

3.2.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია უნდა იყოს შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის, უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი. გარანტიით გათვალისწინებული თანხის გამოთხოვის შემთხვევაში, გარანტის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ამასთანავე შემსყიდველს არ უნდა ეკისრებოდეს რაიმე დამატებითი მტკიცებულების წარდგენის ვალდებულება. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ლიცენზირებული საფინანსო დაწესებულების მიერ ეროვნულ ვალუტაში - ლარში (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ), შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.

3.2.3 გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში

3.2.4 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების დასადებად განსაზღვრულ ვადაში, სისტემის გამოყენების გარეშე მატერიალური სახით.

3.2.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია გარანტია უკან გაითხოვოს წერილობითი მოთხოვნით, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშსწორების დასრულების შემდეგ.

<u>**შენიშვნა:**</u>

კონკურსში ერთობლივად მონაწილეობის მიზნით, ორ ან რამდენიმე მიმწოდებელს უფლება აქვს, გაერთიანდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით. ამხანაგობის სახელით კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია გაითვალისწინოს „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.

ამხანაგობის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიაში მითითებული უნდა იყოს ამხანაგობაში შემავალი ყველა პირი.

ამხანაგობის მონაწილეთა ტექნიკური დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობა დგინდება მონაწილის მიერ შესასრულებელი ვალდებულებისადმი დადგენილ მოთხოვნასთან მიმართებით, ამხანაგობის მონაწილეები უფლებამოსილი არიან, შეასრულონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სხვადასხვა ნაწილი, თუ შესაძლებელია მათი გამოცალკევება მთლიანი ვალდებულებიდან და დამოუკიდებლად შესრულება, იმგვარად, რომ აღნიშნულმა, ალბათობის მაღალი ხარისხით, არ უნდა გამოიწვიოს საბოლოო შედეგის განადგურება, დაზიანება ან/და შედეგით სარგებლობის შეუძლებლობა. ამხანაგობის მონაწილეებმა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ, თუ თითოეული მონაწილე კონკრეტულად რომელ ვალდებულებას შეასრულებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. ამასთან, დასაშვებია ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება, ხოლო არ დაიშვება გამოცდილების შეკრება;

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში) სატენდერო კომისიას წარედგინება როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების შესახებ.

ამხანაგობის კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს კონკურსით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შესაბამისად ერთობლივი საქმინობის (ამხანაგობა) ხელშეკრულება ძალაში უნდა იყოს მინიმუმ ანალოგიური ვადის ჩათვლით.

3.3 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია:

3.3.1 შესყიდვის ობიექტის - ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავების ტექნიკური წინადადება, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ზოგადი მეთოდოლოგია, მეთოდიკა და კონცეფტუალური მოსაზრებები დავალების შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით. კერძოდ, პრეტენდენტმა უნდა აღწეროს თავისი ხედვით:
  - ✓ შესამუშავებელი დოკუმენტაციისა და სამუშაოთა საერთო მასშტაბი, რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები;
  - ✓ დაგეგმილ სამუშაოთა საერთო ჩამონათვალი, საჭიროება და ეტაპობრიობა;
  - ✓ საკვლევ-საძიებო, საპროექტო და ტექნიკურ სამუშაოთა შესრულების დეტალური მეთოდიკა და მონაცემთა დამუშავების სიზუსტე;
  - ✓ ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის კონტექსტში, ზოგადად ქალაქისა და სპა კურორტის განვითარების მიზანი, ამოცანები და სტრატეგია
- გასაწევი მომსახურების მიწოდებისა და დოკუმენტების შემუშავების განხორციელების ერთიანი გეგმა-გრაფიკი, 90 კალენდარულ დღეზე გაწერით. დამატებით გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი ეტაპების შედეგების განხილვისა და მიღება-ჩაბარების პროცედურები. ინფორმაცია დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში სახელმძღვანელო და გასათვალისწინებელი დოკუმენტაციის შესახებ: საკანონმდებლო და ნორმატიული საფუძველი, მეთოდოლოგიური მასალები, ოფიციალური მონაცემები, კვლევები, კონცეფციები, სქემები, პროექტები, მონაცემთა ბაზები და სხვა.

2.8.2 ინფორმაცია სპეციალისტების გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ, კერძოდ:

- საკონკურსო პირობებით საპროექტო ჯგუფის რეკომენდირებულ შემადგენლობაში ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სპეციალისტებზე, არქიტექტორებზე, მოწვეულ დარგობრივ სპეციალისტებსა და ადგილობრივი ექსპერტებზე.

- ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სფეროში სპეციალისტების მიერ შემუშავებულ ანალოგიურ პროექტებზე.
- <u>სპეციალისტების</u> სამუშაო სტაჟი.

- <u>სპეციალისტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი რეზიუმეები (CV), დიპლომები, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთები და სერტიფიკატები.</u>

2.8.3 ინფორმაცია პრეტენდენტი <u>ორგანიზაციის პოტენციალის შესახებ, კერძოდ :</u>

- მისი ან/და მასში შემავალი მთავარი მიმართულების ხელმძღვანელების მიერ შესრულებული ანალოგიური პროექტების მომზადების კვალიფიციურობა, სირთულე და მასშტაბი, დაგეგმილ სამუშაოებთან მიმართებაში.

- შემოთავაზებული მეთოდოლოგიისა და გათვალისწინებული სამუშაოებიის შესაბამისად - ორგანიზაციის სტრუქტურული მოწყობა, მენეჯმენტი, პერსონალით დაკომპლექტება, ტექნიკური აღჭურვის დონე და ფინანსური შესაძლებლობები.

ამხანაგობის კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში (აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა ხდება მხოლოდ ამხანაგობის მიერ) ამხანაგობის მონაწილეებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ თუ თითოეული მონაწილე კონკრეტულად რომელ ვალდებულებას შეასრულებს წინამდებარე კონკურსით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. ამასთანავე თუ ვალდებულებების განსაზღვრა/გამიჯნვა დამატებით განხორციელდება შესასრულებელი ვალდებულების ღირებულებითაც, ასეთ შემთხვევაში ფასის დაფიქსირება დაუშვებელია, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია ღირებულებითი ნაწილის განსაზღვრა განხორციელდეს წინადადების მთლიანი ღირებულების % (პროცენტის) მითითებით.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი „ “ „ “ 20__ წ

ერთის მხრივ - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ---------- სახით და მეორე მხრივ ---------- (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ---------- სახით, შემსყიდველის მიერ ჩატარებული კონკურსის (CNT---------) შედეგების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (დავალება) (შემდგომში დანართი N1) გათვალისწინებული პირობებით ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავების საპროექტო მომსახურება (შემდგომში მომსახურება), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მიწოდებული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV-71400000; CPV-71410000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (**დავალება**) გათვალისწინებული მომსახურების სრულფასოვანი მიწოდებისთვის, ასე მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასაადს (დ.ღ.გ.).

3.3. დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, მომსახურების მიწოდებისთვის გასატარებელი ღონისძიებები, დოკუმენტაციის შემადგენლობა, მომსახურების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის მოცემულია ხელშეკრულების დანართში #_1_.

4.2. მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება მომსახურების გაწევასთან, ასევე მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილ სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

4.3. მომსახურების გაწევის საერთო ვადა და მოსახურების ცალკეული ეტაპების მიწოდების ვადები მოცემულია ხელშეკრულების დანართში #_1_.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1. მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2. მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, ჩართული მხარეების პოზიციის გათვალისწინებით მომსახურების განხილვა-შეთანხმება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ----------

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების ცალკეული ეტაპების მიღება განხორციელდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2. თითოეული ეტაპის მიღება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის უწყებასთან აღნიშნული ეტაპით გათვალისწინებულ შეთანხმებული დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

6.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ----------

7. ანგარიშსწორების წესი

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შუალედური / საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება ეტაპობრივად შემდეგი პროპორციით:

ა) ხელშეკრულების ღირებულების 20% - საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) ხელშეკრულების ღირებულების 30% - დავალებით განსაზღვრული ეტაპი 1-ის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

გ) ხელშეკრულების ღირებულების 50% - დავალებით განსაზღვრული ეტაპი 2-ის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4. საავანსო ანგარიშსწორება განხორციელდება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ფარგლებში, შემსყიდველთან შეთანხმებული საქართველოში ლიცენზირებული საფინანსო დაწესებულების მიერ გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმეული შინაარსის უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. სავანსო ანგარიშსწორება ხორციელდება აღნიშნული გარანტიის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5. მომსახურების ღირებულების გადახდისას პირველ რიგში განხორციელდება საავანსო თანხის დაქვითვა სრულად.

8. მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. შესყიდვის ობიექტის საკუთრება

9.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ყველა დოკუმენტაცია და დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

10. მხარეთა ვალდებულებები

10.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

10.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

10.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.1.3. დროულად და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ყველა ეტაპის დოკუმენტაციის შეთანხმება დაინტერესებულ მხარესთან.

10.1.4. დროულად შეათანხმოს შემსყიდველთან ყველა ძირითადი სპეციალისტის ცვლილება.

10.1.5. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს სპეციალისტების ჩანაცვლება უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტით, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა.

10.1.6. დაიცვას ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10.2. შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

10.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

11. მხარეთა უფლებები

11.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

11.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული ანაზღაურება.

11.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

11.2.1. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.

11.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, საგანგებო მდგომარეობით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4. <u>იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კორონა ვირუსი (COVID-19) პანდემიად გამოცხადდა, მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით აკრძალულია გარკვეული აქტივობები, აღნიშნული შეიძლება ხელისშემშლელი აღმოჩნდეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მხრიდან ფორს-მაჟორულ გარემობასთან, კერძოდ COVID-19-თან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება დასაბუთებული მოთხოვნა სამუშაოების ვადის გაგრძელების თაობაზე, შემსყიდველის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მიმწოდებლისათვის დამატებითი ვადის მიცემა სამუშაოების დასასრულებლად.</u>

13. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

13.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

16. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

16.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი "მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, "მიმწოდებლის" მიერ საქართველოში ლიცენზირებული საფინანსო დაწესებულებიდან წარმოდგენილია -------- ლარის ღირებულების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. ხელშეკრულების შესრულების

უზრუნველყოფის საბანკო გარანტია უნდა იყოს შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის, უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი. გარანტიით გათვალისწინებული თანხის გამოთხოვის შემთხვევაში, გარანტის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ამასთანავე შემსყიდველს არ უნდა ეკისრებოდეს რაიმე დამატებითი მტკიცებულების წარდგენის ვალდებულება. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ლიცენზირებული საფინანსო დაწესებულების მიერ ეროვნულ ვალუტაში - ლარში, (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.

16.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, შეთანხმების შედეგად გაგრძელდა მომსახურების მიწოდების ვადა, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოადგინოს გაგრძელებული ვადის ან/და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საქართველოში მოქმედი ლიცენზირებული საფინანსო დაწესებულების მიერ გაცემული ახალი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს გაგრძელებულ ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

16.3. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების 16.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისას მიმწოდებელი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე 5 სამუშაო დღით ადრე არ ან ვერ წარმოადგენს გაგრძელებული წიანმდებარე ხელშეკრულების 16.2. პუნქტით გათვალისწინებულ გაგრძელებული ვადის ან ახალ საბანკო გარანტიას, ან მხარეები ვერ შეთანხმდებიან მიწოდების ვადის გაგრძელებაზე, ან ხელშეკრულება ვადამდე შეწყდება მიმწოდებლის ბრალეულობით წინამდებარე ხელშეკრულების 17.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობით, შემსყიდველი მიმართავს საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვაზე. ამასთანავე საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის შემცირება არ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 17.1.დაკისრებული პირგასამტეხლოს პროპორციულად, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამატებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

16.4. საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას.

17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

17.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას, მიმწოდებლის ბრალეულობით ხელშეკრულების დანართით #--- გათვალისწინებული მომსახურების ეტაპების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

17.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.3. იმ შემთხვევაში, თუ ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1,5 %-ს, ან იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ სრულყოფილად არ იქნა გამოსწორებული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი ხარვეზ(ებ)ი ან არ იქნა წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი ხარვეზ(ებ)ის ან სრულად, ან ნაწილობრივ გაუთვალისწინებლობის თაობაზე, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

17.4. იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე ხელშეკრულების 17.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობა დადგა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების წარდგენიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა შემსყიდველის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე.

17.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ხოლო მიმწოდებელი თანხმაა დაკისრებული პირგასამტეხლოს გამოქვითვა განხორციელდეს საანგარიშსწორებო თანხიდან, ასეთ შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით დაკავებული თანხის შესაბამის რეკვიზიტებზე გადარიცხვას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

17.6. მხარეები ითვალისწინებენ, რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის

თავიდან ასაცილებლად და საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 17.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის დროს, აღნიშნულის გათვალისწინებით ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის შემცირება არ განხორციელდება დაკისრებული პირგასამტპირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხის პროპორციულად, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამატებით.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

18.1. მხარეთა შეთანხმებით;

18.2. ხელშეკრულების 17.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

18.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით

20. განსაკუთრებული პირობები

20.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.;

21. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: